ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი *“ 25 “ სექტემბერი “ 2015წ.*

სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით, შემდგომში “ დამკვეთი” ერთის მხრივ,და ივანე ამირხანაშვილის სახით შემდგომში “შემსრულებელი” მეორეს მხრივ,ვსარგებლობთ რა საქართველოს კანონმდებლობის მიერ მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. <u>ხელსეკრულების საგანი</u>

1.1 დამკვეთი ავალებს,შემსრულებელი კი ვალდებულებას იღებს გაუწიოს დამკვეთს მომსახურება.ილია ჭავჭავაძის სრული აკადემიური გამოცემის ოცტომეულის XVI ტომს ჩაუტაროს რედაქტირება.*CPV* კოდი 79821100

2. <u>მომსახურების გაწევის წესი</u>

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, დამკვეთს უნდა გაეწიოს დამკვეთის მიერ მითითებულ ვადებში, ხელშეკ-რულების ხელმოწერის დღიდან.

2.2 მომსახურების გაწევა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. აქტზე მხარეების ხელმოწერა ადასტურებს შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევასა და დამკვეთის მიერ გაწეული მომსახურე-ბის მიღებას.

3. <u>ვადები</u>

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 12 თვე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

3.2 მომსახურების გაწევის ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

4. <u>ღირებულება. ანგარიშსწორების წესი</u>

4.1 მომსახურების ღირებულებაა 1250(ერთიათასორასორმოცდაათი) ლარი,მათ შორის საშემოსავლო გადასახადი.

4.2 მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის შემდეგ 10 დღის ვადაში.

4.3 ანგარიშსწორება შეიძლება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.<u>შემსრულებლის უფლება-მოვალეობები</u>

5.1 შემსრულებელი ვალდებულია:
5.1.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში;

5.1.2. შემსრულებელს უფლება აქვს
5.2.1მოსთხოვოს დამკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის სრული და დროული წარდგენა.

5. დამკვეთის უფლებები და მოვალეობები
5.1 დამკვეთი ვალდებულია:
5.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს, დაკვეთის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაცია.
5.12. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

6.2. დამკვეთს უფლება აქვს :
6.2.1. მოსთხოვოს შემსრულებელს,ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
6.2.2.საჭიროების მიხედვით,შეამოწმოს პირადად,ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით მომსახურების ხარისხი.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა:

7.1 შემსრულებლის პასუხისმგებლობა:
7.1.1 მომსახურების გაწევის,ხელშეკრულების ვადების დარღვევისათვის, შემსრულებელი დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.2. დამკვეთის პასუხისმგებლობა:
7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის გადაუხდელი თანხის 5%-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.
7.2.2. პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. მომსახურების ხარისხი
8.1. მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

9. დავის გადაწყვეტა

9.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.
9.2. თუ ეს არ მოხერხდება,მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10. <u>ხელშეკრულების შეცვლა. ცალმხრივად შეწყვეტა</u>
10.1. ხელშეკრულების შეცვლა და მასში პუნქტების დამატება ხდება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.
10.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დაუშვებელია.

11. <u>მხარეების მისამართები და ხელმოწერები</u>

<u>დამკვეთი</u>	<u>შემსრულებელი</u>
მცხეთის რაიონი სოფ.საგურამო ანდრო ბედუკაძე	ივანე ამირხანაშვილი
_____	_____

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი "11" "მაისი" 2015წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ,ივანე ამირხანაშვილის და მეორეს მხრივ სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუუზეუმის დირექტორი ა.ბედუკაძე ვადასტურებთ, რომ დაქირავებულმა გასწია მომსახურება ხელშეკრულების შესაბამისად 2015 წლის 25.04.2015-დან 11.05.2015-მდე თარიღით დაარედაქტირა ილია ჭავჭავაძის სრული აკადემიური გამოცემის ოცტომეულის XVI ტომი.

აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენს 1250 ლარის უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

მხარეებს ეთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ჩავაბარე:
ივანე ამირხანაშვილი

ი.ამირხანაშვილი

ჩავიბარე:
ანდრო ბედუკაძე

ა.ბ